№ 16

შაბათი, 22 იანვარი 1894

1877—1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 16

შაბათი, 22 იანვარი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**კნეინა ნინო გერასიმეს ასული ანდრონიკაშვილისა** შვილებითურთ და კნეინა **რუსუდან ზურაბის ასული ჩოლაყაშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პეტერბურგში პირველი მეუღლისა და მეორე ძმისა, **თავად გიორგი ზურაბის ძის ანდრონიკაშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ, კვირას, 23-ს იანვარს $9^1/_2$ საათზედ, ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესიაში. (2—1)

---

## „ივერია"

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის" რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

---

ქართული თეატრი

კვირას, 23 იანვარს

ბენეფისი

**მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

I

**ბედნიერი დღე**

კომ. 3 მოქ., სოლოვიოვისა.

II

**ბიძიასთან გამოხყმრება**

ვოდ. 1 მოქ., ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ნებიერიძისა, მაქსიმიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი გუნია, შათირიშვილი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

---

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი პატივის-ცემით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ 1876 წ. გამოც. მე-IX ტ. მე-81 მუხ. კანონთა კრებულის თანახმად, 10 მაისს ამა 1894 წელსა დაიწყება ჩვეულებრივი საგუბერნიო რჩევის კრება. (3—3)

---

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე აცნობებს რა ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა, რომ ჩვეულებრივი კრება მაზრის თავად-აზნაურობისა შესადგენელად არჩევნებში ხმის მქონე თავად-აზნაურთა სიებისა, დანიშნულია ათს მომავალს თებერვალს, უმორჩილესად სთხოვს მობრძანდნენ დანიშნულს დღეს, ათს საათზედ, დილით ქუთაისის თავად-აზნაურო დეპუტატთა შეკრებილების სადგომში ქ. ქუთაისს, ვორონცოვის ქუჩაზედ. და მანამდე-კი წარმოუდგინონ დამამტკიცებელი საბუთები შესახებ უძრავ ქონებათა რაოდენობისა, რომელსაც მოითხოვს 102 და 104 მუხლი კანონთა კრებულის მეცხრე ტომისა, რომელიც გამოცემულია 1876 წელს.

მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი
თ. დ. ნიჟარაძე
(1—1)

---

## ტფილისი, 22 იანვარს

დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ერთი საყურადღებო წერილი ტფილისში მყოფ იმერეთიდგან ჩამოსულ მოსამსახურეთა გაჭირვების შესახებ. წერილის ავტორი ამბობს, რომ მოსამსახურეთა ბოგანად, უადგილოდ ყოფნისა და ხშირად ქურდობის მიზეზიც ის არის, რომ ბილეთი, პასპორტი უდროოდ მოსდით და ისიც მცირე-ვადიანი და ადგილზედ ფეხი ვერ მოუკიდნიათო. რაჭა-ლეჩხუმელს მოსამსახურეს სამის თვის ვადიანი ბილეთი მოსდის, მოსვლისათანავე ერთი თვე გასულიც არის და ხშირად ისე გარბის ეს დანარჩენი ორი თვეც, რომ ადგილის ძებნაშია მოსამსახურე. მერე იშოვნის ადგილს, მაგრამ რა ჰქმნას, რომ უბილეთოს აღარსად მიიკარებენ, დაითხოვენ, ან, თუ არ დაითხოვეს, თითონვე ჰხმარობს ათას გვარს საშუალებას პოლიციის დევნის ასაცილებლად: ან სხვის, უადგილოს ბილეთითა დგება სამსახურში და ან იმალება, რომ პოლიციამ არ ჩამიგდოს ხელში და ტუსაღსავით არ გამგზავნოსო.

არა ნაკლებ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი თვით მოსამსახურეთა დამქირავებელნიც: თუ უბილეთოდ შეინახეს ვინმე, ჯერ ერთი, შიში აქვთ პოლიციისა, რომელმაც შეიძლება შეუტყოს ეს ამბავი, მოსამსახურე დააპატიმროს და პატრონი დააჯარიმოს; მეორეც,— არც იმდენად ენდობა უბილეთო მოსამსახურეს, რადგან რომ გამქურდოს და გაიქცეს, ვის ჩავავლო ხელიო; პოლიციასაც-კი ვერ მივმართავ, რადგან მევე გამამტყუნებენ,—უბილეთოდ რად ინახავდიო. ამ სახით ბილეთის მცირე-ვადიანობა ერთ გვარს გაჭირვებაში აგდებს ბატონსაცა და მოსამსახურესაც.

მერე რას გამოუწვევია ეს მცირე-ვადიანობა? თუ სოფლისა და საზოგადოების მოხელე, მამასახლისია იგი თუ სხვა, შესაძლებელად ჰხედავს ბილეთის გაცემას, რაღა სამის თვით აძლევს და არა წლით მაინც, რომ შეძლება ჰქონდეს ბილეთის მიმღებს ჯეროვანად გამოიყენოს იგი და ხშირად, უსაქმოდა და უადგილოდ დარჩენის შიშით, კანონის დარღვევას იძულებულ არ იქმნას? ამის პასუხად წერილის დამწერი გვაცნობებს, რომ მამასახლისს უნდა, ჩქარ-ჩქარა მიჰმართონ ხოლმე ბილეთის სათხოვნელადაო. როგორც გამოვიკითხეთ, სამის თვის ბილეთში მანეთსა და მანეთ ნახევარს ახდევინებს თურმე, თუმცა წლიური ბილეთი ჰღირს ამ ფასად, ამ გვარად თითონაც ხელს ითბობს და სარგებლობს და, რასაკვირველია, რომ იმისის ჯიბისათვის ის უფრო საჭიროა და ხელ-საყრელი, რომ გაჭირვებისა გამო თავის სახლსა და კერას მოშორებული წელიწადში ერთხელ-კი არ მიადგეს ბილეთის სათხოვნელად, არამედ ოთხჯერა და ამით ერთი ოთხად ასარგებლოს.

განა ასეთი დაბრკოლება - ლა საჭირია თავის სახლ-კერადგან აყრილს ღარიბს კაცს, რომელიც უცხო ადგილს მიდის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად? განა ბატონთა და მოსამსახურეთა ჯერ ისევ განუწყობელს, განუსაზღვრელს და დაულაგებელს ურთიერთობას ესღა უნდა, რომ ერთი ორად უფრო გაამწვავოს ეს განუწყობელობა და მოსამსახურეც გაჭირვებაში ჩააგდოს და ბატონიც? ჩვენის აზრით, მართლაც მარტო ამას მიეწერება ის გარემოება, რომ მოსამსახურე სხვის სახელს ირქმევს, სხვისის, ჯერ ვადა-გაუსვლელის ბილეთით ადგილზედ სდგება და იძულებულია ეს კანონის დამრღვეველი სიყალბე ჩაიდინოს. შეიძლება ამავე გარემოებამ სული წააძლევინოს მოსამსახურეს საქურდლად, რადგან მოსალოდნელია იფიქროს, მოვიპარავ, რა მიშავს, ჩემი ვინაობა არ იციან და რას მიპოვნიან, ბილეთში სხვისი გვარი და სახელი სწერიაო. ამისი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა კიდეც და, რაღა თქმა უნდა, კვლავაც მოსალოდნელია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რაჭა-ლეჩხუმის მაზრის უფროსნი, სადაც ხშირია ასეთ მცირე-ვადიან ბილეთების ძლევა, მიაქცევენ ყურადღებას მამასახლისთა ამ ბოროტ-მოქმედებას და სასტიკად აღუკრძალავენ ასეთს საქციელს. კარგი იქმნება ამასთან, რომ სამის თვის ბილეთის გაცემა აღკრძალონ და, ამას გარდა, სოფლის მკვიდრთა შორის გამოაცხადონ ნამდვილი გარდასახადი ბილეთისა, რომ ადგილობრივ მოხელეთ მეტის გამორთმევის საშუალება აღარა ჰქონდეთ. თუ მაზრის უფროსნი ჯეროვანის გულ-მხურვალებით მოეკიდნენ ამ საქმეს, უეჭველია ადვილად მოევლება და სწრაფად აღმოიფხვრება ასეთი ბოროტ-მოქმედება.

ფარნაოზი

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ხუთშაბათს, 20 იანვარს, ქართველთა მწერალის ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების მეორმოცე დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაიხადეს პა-

---

## ფელეტონი

**კიდევ ახალი ღონის-ძიება ფილოქსერის წინააღმდეგ**

(დასასრული *)

ზემოხსენებულ გამოცდილების შემდეგ, რასაკვირველია, საჭირო იყო ახალის წესით მეწამლა. ჩემის ცდის გასაუმჯობესებლად, უნდა გამეგო, თუ რაზომის წამლობას გაუძლებდა ვაზი. ეს ადვილი შესატყობი შეიქნა. რიგ-რიგით დავუწყე წამლობა 180, 200, 220, 230 და 400 გრამით; გული-კი მეუბნებოდა რომ 400 გრამიან წამალს ე. ი. 360 გრამ ტორფს და 40 გრამ ფიქალო მიწას ვაზი ვერ აიტანს. მაგრამ, ჩემდა გასაკვირველად, ერთი ვაზიც არ გამხმარა; მართალია თეორიით ამდენს წამალს ვაზი უნდა გაეხმო, მაგრამ პრაქტიკამკი წინააღმდეგი გვიჩვენა. რაკი დავრწმუნდით, რომ ფიქალო ფილოქსერის წამალია და რომ ზომასაც ვაზი არ უშინდება, ამის უკეთეს გამოკვლევას რაღას შევხვდებოდით. შემდეგი გამოცდა კიდევ უკეთესად განსაზღვრულს ზომას დაგვანახვებს, იმედია.

ეხლა, ეს უნდა ავხსნათ, თუ რამდენჯერ უნდა ეწამლოს ვაზს წლის განმავალობაში? ამის პასუხი ჯერ-ჯერობით ძნელია.

ზვარს როცა ფილოქსერა კარგად დააჩნდება, როცა დაზიანებული ბუდე გამოირკვევა ვენახში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ზვარში ფილოქსერას ოთხი წელიწადი მაინც უმუშავნია. მაშ ზვარი თუ ორჯერ მაინც საფუძლიანად ნაწამლია და მტრისაგან განთავისუფლდა, საჭიროა კიდევ ვუწამლოთ ყოველ წლობით რამდენჯერმე ან ერთხელ მაინც წელიწადში, თუკი გარეშე ადგილებიდგან ფილოქსერის გადმოსვლის შიში არ არის?

ახლა მინდა ვიანგარიშო, თუ რა დაჯდება ვაზის წამლობა.

სინამდის ხარჯის აღრიცხვას შევუდგებოდე, მოვიყვან რამდენსამე სტრიქონს, რომელიც დაბეჭდილია საფრანგეთის მეურნეთა ცენტრალურ სინდიკატის ბიულეტენში. ამ ცნობების შეტყობა კარგად გვიწინამძღვრებს ჩვენს გამოანგარიშებაში. იქ სწერია: ყოველ ვაზის ძირში 15 სანტიმეტრის (4 ვერშოკის) სიფართეს შემდეგ ხარდნის გარეშე უნდა ამოიღო ორმო 30—35 სანტიმეტრის სიგანე (7—8 ვერშოკისა) და 25—20 სანტიმეტრის (6—8 ვერშოკის) სიღრმეო. შემდეგ უნდა აიღოთ პატარ-პატარა ზომით, 100 კილოგრამი (6 ფუთი) ტორფი და ერთი კილოგრამი ($2^1/_4$ გირვანქა) ფიქალო მიწა მეორე ხარისხისა და ერთმანერთში შეურიოთ და კარგად დაფხვშნათო; ამ ნაირად არეული მასალა უნდა გააჩეროთ ერთი დღე და ღამე, რომ კარგად დამზადდეს. მერმედ ეს მომზადებული წამალი უნდა ზომით ჩაჰყაროთ ვაზებთან ამოღებულს ორმოებში, თითო ვაზს უნდა მისცეთ 200 გრამი წამალი და ზედ ორმოდგან ამონაღები მიწა წააყაროთ. ამაების აწონა ყველას შეუძლია, რადგანაც ორი კილოგრამი შეზავებული წამალი უნდა მისცეთ ათს ვაზს, მაშასადამე თითო ვაზს შეხვდება 200 გრამი.

და ასე ამ გვარად თითოეულ ვაზს უნდა უწამლოთ ცალ-ცალკე.

ყოველ ეკტარის ($2^1/_2$ ქცევა) წამლობის ფასი თუ რამდენათ დაჯდება, იმის გამოანგარიშება ძნელია, რადგანაც სამხრეთ საფრანგეთში ერთს ეკტარზედ ($2^1/_2$ ქცევაზე) ხშირად 4000 ვაზია მოთავსებული, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთში ამ ზომა მიწაზედ 12,000 ვაზს რგავენ. ისევ სჯობიან ათას ვაზობით ვიანგარიშოთ და ამის კვალობაზედ ყველა მემამულე შეაფასებს წამალს, თუ ეცოდინება ვაზების რაოდენობა თავის ზვარში. წამლობას ორ გვარი ხარჯი მოსდევს: თვით მუშის რამა, ე. ი. ორმოს ამოღება და ტორფის და ფიქალო მიწის სასყიდელი.

განვიხილოთ თითოეული ცალკ-ცალკე.

სამხრეთ საფრანგეთში ჩვეულებად აქვთ ყოველის ვაზის ძირში ორმოს

*) იხ. „ივერია", № 15.

ნაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მისნი პატივისმცემელნი დაესწრნენ.

*** ამ ორიოდე დღის წინად მიხეილის ქუჩაზედ კონტროლნი პალატის რევიზორს ბ-ნ გერიეს დახვდა ვიღაც უცნობი ავაზაკი, რომელსაც უნდოდა მისი გაძარცვა, მაგრამ ვერ შეიძლო თავის განზრახვის ასრულება, რადგანაც გერიეს მიეშველნენ ამ დროს მიმავალი უცნობი ყმაწვილი კაცები. ამას შემდეგ გერიემ მიჰმართა პოლიციის მეათე ნაწილის პოლიციელს, რომელსაც სთხოვა დახმარება, მაგრამ არამც თუ არ დაეხმარა, არამედ ცემასაც დაემუქრა. ამ გარემოებამ გამოიწვია ბ-ნ პოლიცმეისტერის ბრძანება პოლიციის ბოქაულების მიმართ, რომლითაც ურჩევს ჩააგონონ პოლიციელებს თავიანთი მოვალეობა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ ამ დღეებში გადასწყვიტა, სად და როდის დაინიშნოს ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში სასამართლოს სესიები ამ წლის განმავლობაში. სულ წელს ექვსი სესია იქნება ამ სასამართლოს განყოფილებისა: გორში თებერვლის 4 რიცხვიდამ 29 რიცხვამდე; თელავში—7-დამ 18 მარტამდე, ზაქათალაში—19-დამ 22 მარტამდე, სიღნაღში—26 მარტიდამ 9 აპრილამდე, დუშეთში—25 აპრილიდამ 12 მაისამდე და თიონეთში—16-დამ 30 მაისამდე.

*** სამეგრელო: გაგვიჭირვა საქმე სოფ. გულიკარსა და კეთილარს რიონმა. ეს მდინარე ამ ადგილას მალ-მალე იცვლის მიმართულებას და ამის გამო ხშირად ართმევს სოფლელებს მამულებს. ბევრი მამული ამ გვარად სულ ცარიელ სილად გადაქცეული. არ იქნა ვერაფრით გავიმაგრეთ წყალი და ვღუპებით ამ ნაირად. ჩვენი მშველელი არავინ არ არის.

*** რაჭა: ჩვენი ძველი მაზრის უფროსი გადაიყვანეს და ახლა ახალს მოველით. ძველისა მადლიერნი ვიყავით, რადგან ბევრნაირი ამაგი დასდო ჩვენს მხარეს, თუ ხოლერობის დროს და თუ ავაზაკობის გავრცელების ჟამს. ხოლერობას ძალიან გვეშინოდა, რადგან რაჭველი კაცი ყოველს მხარეს არის წასული და იმ ვაგლახ დროს სამშობლოსაკენ მოეშურებოდა, მაგრამ მაზრის უფროსის სიმარჯვისა და მოხერხებულ განკარგულებათა წყალობით აგვცდა უბედურება. ავაზაკობასაც მალე მოუღო ბოლო. საზოგადოდ, ყველაფერში ისე იქცეოდა, რომ მთელს მაზრას ენანება მისი გადაყვანა აქედამ. იმედი გვაქვს, რომ ახალი მაზრის უფროსიც დაიმსახურებს კარგს სახელს და ამოდენა მაზრას, რომელშიაც 75,000 მცხოვრებია, მოუვლის კეთილად. მერე ბევრი რამ გვეჭირვება კიდევ, ბევრი რამ გვაკლია ჩვენის ცხოვრების განკარგებისათვის. ხშირად ძმური დარიგება და ჩაგონებაა ჩვენთვის საჭირო, ხშირად ურიგო არ იქნება სიფიცხე და რიხიანობაცა. თორემ რაჭველი კაცი დაუდევარია და ყურ-მოყრუებული: სკოლებს არას დაეძებს, სისუფთავეს არ მისდევს, გზების კეთება ეძნელება და სასოფლო ბანკებზედ ხომ აბა რას იფიქრებს. ორი ბანკი გვქონდა, ბუგეულსა და ხვანჭკარსა და ორივე ჩვენის დაუდევრობით დავღუპეთ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ახალი მაზრის უფროსი მალე შეისწავლის თავის მაზრის საჭიროებასა, შეითვისებს რაჭველებს და ჩვენს სხვა-და-სხვა სატკივარს ასეთსა თუ ისეთს წამალს დასდებს. რაჭველებიც ისე ყრუნი არ არიან, რომ კეთილმა სიტყვამ არ იმოქმედოს და არ გასჭრას.

*** სადგური განჯა. განჯა ერთი საუკეთესო სადგურთაგანია ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ. სამრავალი მშვენიერი შენობებია, საუცხოვოდ მოწყობილები, მოხელეთათვის, რომელნიც დიდად ემადლიერებიან თავის მდგომარეობას. ამათ აქვთ სკოლა, ჰყავთ მოხელეთაგანვე შემდგარი ხორო მემუსიკეთა, ჰმართვენ წარმოდგენებს; მოხელეთათვის ლექციებსაც-კი კითხულობენ და სხ. ამ სადგურს, ასე ყოვლისფრით შემკულს, აკლდა მხოლოდ ეკკლესია. ამ ცოტა ხანში ეკკლესიის საძირკვლის კურთხევასაც აპირებენ და შემდეგ შენობასაც დაიწყებენ.

## დამაკვირდი

მაძღარი თვალი ქვეყნად არ მოიძებნება

რუს. ანდაზა

**

წასაქცევად ერთის ფეხის გადაბრუნებაც კმარა.

კოცებუ

**

ვინც სიმდიდრის გამო ცოლს ირთავს, ის ყიდის სულის მშვიდობას.

## ერეკლე-ხანი.

(ჩაწერილი მასწავლებელის ვ. კოპტონაშვილის-მიერ ახალციხის მაზრაში)

ცამა დაიწყო ღრუბლობა,
სულ დედამიწამ ღვარაო;
ერეკლე აწყვერ მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
რუსმა აართვა ღალატი,-
ქურდულებ გეეპარაო;
უკანაც ველარ დაბრუნდა-
ჯავახეთ მიეჩქარაო.
ასპინძის ბოლოს ავიდა,
იქ მტერი დეეხალაო,-
იქა ქნეს დიდი „დოგუში“[1])
დელიბაშს უყვეს ძალაო.
სად მიხვალ, ჩემო ერეკლევ,
სად მისდევ, ჩემო ლალაო,
ხმალ-და-ხმალ შევა ქართველი
ცხვარივით წამოშალაო.
შექეცეს „არტანულაში“[2]),
სულ წყალი გაამშრალაო
ასპინძის ბოლოს ლეკები[3])
ავლაბარს გაიტანაო.

18 იანვარს 1894 წ.

ს. მუსხი

1) „დოგუში“—ჩხუბი, ომი,—თათრული სიტყვაა.

2) „არტანულას“ აქეთ მხარეს მტკვარს უწოდებენ, რადგან იგი არტაანის მხრიდგან მოდის.

3) „ასპინძის ბოლოს ლეკები“—ასპინძის ბოლოს მდგარი ლეკის ჯარი.

## რა მიზეზია?!!

(წერილი რედაქციის მიმართ)

მრავალთაგან-მრავალნი კითხულობენ: რა მიზეზია, რომ იმერელი მოსამსახურენი ცუდად დადიან და ყველა ერიდება იმათ დაქირავებას, რადგან არა ერთი და ორი მაგალითია, რომ სხვისი ბილეთებით დგებიან ადგილზედ და შემდეგ ქურდობენ და გარბიანო. ამას, რასაკვირველია, ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ერთი უპირველესი მიზეზთაგანი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ზოგიერთი მამასახლისები, მეტადრე რაჭასა და ლეჩხუმში, ერთობ არა-საკადრისად იქცევიან პასპორტების მიცემის საქმეში. იშვიათ რაჭველს შეჰხვდებით ტფილისში, რომ წლის ბილეთი ჰქონდეთ. ბევრს ექვსის თვისა და მომეტებულს ნაწილს კი სამის თვის ბილეთები აქვთ. მიზეზი ამისი ცხადია. მამასახლისებიართმევენ პასპორტის ფასს ერთის სამად და ოთხად და აძლევენ მოკლე-ვადიან ბილეთებს, რა არის ისევ მალე დასჭირდეს, ჩვენვე მოგვმართოს და ფული მოგვიტანოსო.

ვინ არ იცის, რაჭა-ლეჩხუმი რა უხერხული ადგილია ფოსტის მხრივ, იშვიათს რაჭველს მოსდის სახლიდგან შინაური ამბები მთელის წლის განმავლობაში. ამისთანა გარემოებაში აშკარაა რა ძნელია სამს თვეში ერთხელ ბილეთის გამოცვლა. თითონ ბილეთის სიძვირე გამოწვეულია ზოგიერთის მამასახლისების გაუმაძღრობისა გამო, ამისათვის ბევრი მოსამსახურე უბილეთოდ დადის და მაშასადამე, უსაქმოდაც და რა უნდა ჰქნას უსაქმო კაცმა, რითი იცხოვროს?.. ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს?!.

ალექსანდრე თოიძე

ტფილისი, 21 იანვარს.

## წერილი რედაქციის მიმართ

«ივერიის» მე-10 № ში წავიკითხეთ საყურადღებო ამბავი რომ „გორიდამ სწერენ: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გაზეთს, ამ დღეებში ჩვენს ქალაქზე გაიარა კავკასიის წყალ-მდინარეთა ინსპეკტორმა და «დაათვალიერა გამოკვლევანი ინჟენერებისა ჩვენს მაზრაშიო. როგორც ვიცით, წყალ-მდინარეთ გამგეობას აზრათ აქვს არხი გაიყვანოს დიდ ლიახვიდამ და სარწყავად გადააქციოს ურწყავი დიდძალი მამულები ტირიფონის მინდვრებისა და მეჯვრისხევ-ბერშუეთის ბოლოებისა. ინჟენერებს უკვე 35 ვერსი გაუვლიათ იმ ადგილებიდამ, საიდამაც წყალი უნდა გადმოგდებულ იქმნას არხისათვის. თუ ეს პროექტი დამტკიცდება, სწორედ დიდებული საქმე გაკეთდებაო, ამბობს გაზეთი და სასურველია, რომ იმ მამულების პატრონები, რომელთა სარწყავებად გადაქცევა განუძრახავს წყალ-მდინარეთა გამგეობას, გულ-მოდგინედ და თანაგრძნობით მოექცნენ ამ საქმესაო“.

რასაკვირველია ფრიად სასურველ და მოსაწადინებელი საქმეა ყველა იმ მამულების პატრონთათვის, რომელიც დღევანდლამდე უწყლობის გამო დიდად შევიწროებულნი არიან; გულ მოდგინებით და თანაგრძნობითაც მოექცევიან ამ საქმეს უკეთუ ეს განძრახვა აღსრულდება და დამტკიცებულ იქმნება პროექტი; მაგრამ სამწუხაროდ და საზარალოდ ის დარჩება, თუ ვინიცობაა წყალი ისე გაატარეს, რომ ბევრი სოფლები დარჩა უწყლოდ. ინჟენერებს-კი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ისე გაუვლიათ, რომ თუ წყალმაც ისე გაიარა, ურწყავი მამულები ისევ ურწყავად დარჩება. მაგალითებრ: ინჟენერებმა გაიარეს მეჯვრისხევზედ და კირბალზედ და დასტოვეს დიდ-ძალი ურწყავი მამულები ისე, რომ წყალი ვერას გზით ვერ მოხვდება. უმეტესი ნაწილი მეჯვრისხევის მამულებისა და თითქმის მთლად კირბლისა, რომელიც ყველაზედ უმეტესად არის გაჭირვებული უწყლობით, რომელსაც არამც თუ მამულისათვის სარწყავად, არამედ სასმელადაც არა აქვს ხოლმე ზაფხულობით.

ინჟენერებს რომ პირდაპირ გაევლოთ და ქვევით, სოფელს ზერტისკენ, ძველი რუსკენ არ დაეხვიათ, არც ერთ სოფელი უწყლოდ არ დარჩებოდა. ზერტისკენ წაყვანილი წყალი დიდძალ მამულებს დაჰსტოვებს ისევ ურწყავებად და იქმნება ნახევარ ბეშუეთის, ხურვალეთის, ტირიფონის და სხვა სოფლების მამულებსაც სრულებით წყალი არ მოხვდეს, რის გამოც, რასაკვირველია, ის მემამულენი, რომელნიც ასე მშრალზედ დარჩებიან, გულმოდგინებით არ მოეკიდებიან ამ სასურველს საქმესა. ამისათვის სამჯობინოა, რომ კავკასიის წყალ-მდინარეთა ინსპექტორმა, ანუ ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ ფრიად სა... სასარგებლო და საჭირო საქმეს და უყურადღებოდ არ დასტოოს ეს ჩვენი შენიშვნა. ამასთანავე დავსძინებთ, ინჟენერებს, რომ ყველა მემამულენი მიეწვიათ და რჩევა ეკითხნათ, არავინ არ დაიჩაგრებოდა და ყველა დაკმაყოფილდებოდა წყლის გამოყვანით.

მემამულე სოფლის მეჯვრის-ხევისა აზ. არჩილ ივანეს ძე ლოლაძე

მემამულე კირკლისა აზ. ლუკა მიხეილის ძე ანანიაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ფრანგულს გაზ. „Echo de l'armée“-ში დაბეჭდილია თავ-გადასა-

---

ამოღება და იმის მონაკლება და გაპატივებას თუ ჩრდილოეთის საფრანგეთში ეს ჩვეულება არ არსებობს, იქ შეუძლიანთ ეს კარგი საშუალება შემოიღონ და მაშინ ეს შრომა წამლობის ხარჯში აღარ ჩაითვლება.

რაც შეეხება ტორფის ფასს, ის ეხლა ღირს 3 ფრ. და 30 სანტ. (½ მანეთად) ფერდინანდ ფიშერის ანალიზით სხვა-და-სხვა კუთხის ტორფი სხვა-და-სხვა სიმდიდრისაო. მაგალითებრ, ტორფის არსებითი ნივთიერება აზოტი 0,88—2.54% ადის, მაშასადამე ვაჭრობაშიაც სხვა-და-სხვა ფასად იყიდებაო—1.25—3.30 ფრანკამდის ჰფასობსო. ამას გარდა ტორფში ფოსფატიც ურევია და სხვა იმისთანა ნივთიერება, რომელიც ძრიელ რგებს მიწას, ანაყოფიერებს, იმას გარდა რომ თვით ტორფი ისრეთი მიწის ამჭატებელია, ამფუჩქნელი, ამღუებელი, რომ ის ხარჯი, რაც ტორფის სყიდვას სჭირდება, არ ჩაითვლება წამლის ხარჯად, ტორფით გაპატივება ზვარისა მეტად მარგებელია წამლობის გარეშე.

გვრჩება ეხლა თვით ფიქალო მიწის ხარჯის გამოანგარიშება. ბ-ნ ეტარდის გამოკვლევით, ფიქალო მიწა სამის ღირსებისაა; პირველს გაწმენდილს სანათად ხმარობენ და ღირს 30 ფრანკად 100 კილო (6 ფუთი), მეორესი—25 ფ., მესამე თვით მადანი ხელუხლებელი 18 ფ.

ამოდენს ხანს, რაც ჩემს ზვრებსა ვწამლობ სულ ოტანის ფიქალოს ვხმარობდი, რომელსაც ვყიდულობდი საწვრილმანო მაღაზიებში. შეიძლებოდა-კი, ჩემის აზრით, უფრო იაფ ფასიან, თვით გაუწმენდელ მადანის ხმარება, თუმცა ბ-ნი ეტარდი-კი წინააღმდეგ აზრი[illegible]; ის ამბობდა, რაც უფრო წმინდა მადანს იხმარს კაცი, მაშასადამე ძვირიც მეტი იქნება და იმდენად მეტს სარგებლობას მოიტანს ვაზის წამლობაში.

მართალია, ანალიზს რომ მივყვეთ და მასთანავე ქიმიკურად ეგრედ წოდებულს თავისუფალ მზეთის ძალის მქონე მადანს რომ მივაქციოთ ყურადღება, მაშინ ბ-ნ ეტარდის აზრით, პირველ ხარისხის დაწმენდილი ფიქალო ემჯობინებოდა, მაგრამ მე და ეტარდი შევთანხმდით და ვნახეთ კიდეც სამჯობინაროდ მეორე ხარისხის ფიქალოს ხმარება იმ მოსაზრებით, რომ თუმცა მეორე ხარისხის ფიქალოს იმდენი მზეთის თავისუფალი ძალა არა აქვს, მაგრამ იმას იმასთანავე მზეთი საკმაოდ აქვს ფარულის თვისებით და ეს მზეთის ფარულობა მით არის კარგი, რომ ტორფში არეული ფიქალო ნელ-ნელა გამოსცემს მზეთსა, დიდხანს გასძლებს და მით უფრო შეერგება ვაზსა; უამთვისებოდ მზეთი ადრე გაჰქრებოდა, გაორთქლდებოდა. ამ ღირსების ფიქალო, ეტარდის აზრით, სულ ცოტა, ორს წელს იმოქმედებს მიწაში და თავის ძალას არ დაჰკარგავს.

მე რომ ვწამლობდი ვაზებს, 200 გრამს ტორფს ურევდი მეათედ ფიქალოს, გამოდის რომ 20 კილოგრამი სჭირებია ათას ძირ ვაზს. ფიქალო ღირს 25 ფრან. 100 კილო (6 ფუთი), მაშ 5 ფრანკათ დამჯდარა სულ ყოველ ხარჯიანათ ათასი ძირი ვაზის წამლობა.

ეხლა ვნახოთ წამლობა თუ კარგია რამდენს წელს უნდა ვუწამლოთ? ამის პასუხის მოცემა, რასაკვირველია, დიდი გამოცდილებაა და მე თუ დამეკითხებით, ორ გზობის წამლობას ვურჩევდი ყველას; პირველს წელს ვუწამლებდი მარტო მარტში ფილოქსერის დასახოცავად და ამასთან-კი დასჭირდებოდა ბევრი ნაკელის დაყრა, რომ ვაზებმა ფესოები კარგად გაიდგას, მეორე წელს დასჭირდებოდა წამალი მარტო ივანობისთვეში მობარტყაა ფილოქსერის დასახოცავად ან მოსულ ფილოქსერის გასაჟლეტად, შემდეგ წლებში თუ უწამლებთ, ისევ ივანობისთვეში უნდა უწამლოთ. მაგრამ ეს ჩემგან აღნიშნული წამლობის დრო და ზომა და ამ წამლების დასტურობა, კიდევ ვიმეორებ, გამოცდილებაზედ არის დამოკიდებული.

არსებითი აზრი ჩემი ცდისა ის იყო, რომ უნდა გამომეკვლია, თუ რამდენად უებარი მომწამვლელია ფიქალო მიწა ფილოქსერისა და ამასთანავე ვაზს-კი არ სწყენს, რამდენად ადვილი სახმარებელი წამალია. რაც უნდა დიდი ზომა დააყარონ, ვაზის ძირები, მაინც უვნებლად რჩება და ბოლოს კიდევ ისა, რომ ფიქალო ტორფთან ერთად შერეული ვაზის ძირების გასაღონიერებლად დიდად სასარგებლოა.

შემდეგ ამ მოხსენებისა სამეურნეო საზოგადოებაში სეკტემბრის დამლევს

ენებულის პრინცის ბატენ რომელიც თავის ბოლგა- იდგან გადადგომის ამბავს

ბავი: მოხდა 1886 წლის აგვისტოს ღამესაო, ამბობს დღე ბევრი ვიმუშავე და ის ამინებლად დავწექი. ერთბა ჟოლს ოთახში სირბილით და ჩემი მოსამსახურე, ბო- ი დიმიტრი, რომელიც სიკვდი- გაფითრებულიყო დ ჰყვიროდა: ლატეს, თქვენი მოკვლა უნდათ, შველეთო!» ლოგინიდგან წა- ი და რევოლვერსა ვსწვდი.

ოხამი კარებს იქიდგან ჯარის- ფეხის ხმა მომესმა; ამან და იდა და ვუთხარი დიმიტრის: რჩი, რადგან ამ ჯარი მოვიდა ი. „არა, თქვენო უდიდებულესო- მირ-იქით; სწორედ ჯარის-კაცებსა განზრახული თქვენი სიკვდილი,“ ნ ბაღის კარებს ვეძგერე და ინახე, რომ მთელს სასახლეს ჯარი ორტყმოდა, თოფებს ისროდნენ ყვიროდნენ „Долу Князя-“ო. ასხშივე შევედი, სანთელი ავანთე მუნდირის ჩაცმა მინდოდა, მაგრამ ნთელმა ჯარის-კაცების ყურადღება აქცია და იძულებული ვიყავ ჩამექრო. მაყრობა თანდათან ჰმატულობდა. აჩქარით გადავიცვი ტანთ ბნელაში, ამოვედი ქვემოდ, სადაც 150-მდე ჯარის-კაცი დამხვდა. თოფის შუბებით მემუქრებოდნენ; წინააღმდეგობა აღარას მარგებდა.

გავედი დერეფანში და აქ ჩემი ძმა დამ- ხვდა. აქავე მომიახლოვდა ერთი ახალ- გაზდა აფიცერი, რომელსაც ხელში ქა- ღალდი ეჭირა, და მომთხოვა, უნდა დასწერო, რომ ბოლგარიის ტახტისა- გან უარს ამბობო. იმას შემოჰყვა მეგობარი და რევოლვე- რებით მუქარა დაიწყეს.

ვუთხარ თ: «თითონ დასწერეთ ტახტიდგან გადადგომის წერილი“- მეთქი. ერთმა მათგანმა კალამს ხელი წაავლო, მაგრამ ისე უხერხულად და- იწყო წერა, რომ კალამი გამოვართვი დ დავუწერე: „ღმერთო, იცავდე ბოლგა- რიას! ალექსანდრე“. ეს ქაღალდი სწორედ იმ დროს გამამტაცეს ხელი- დან, როდესაც კაპიტანი ბენდერევი შემოვიდა, რომელსაცა ვკითხე:

— რას მიპირობთ?

— რუსეთში უნდა გაგზავნოთო, მიპასუხა. ნახევარს საათს შემდეგ ერთს ეტლში მე ჩამსვეს, ჩემი ძმა მე- ორეში და წაგვიყვანეს. სერბიიდგან 25 ვერსის მანძილზედ ერთი ღარი- ბი მონასტერი იმყოფება და სწო- რედ ამ ადგილას შეგვაჩერეს; მე ერ- თს სენაკში ჩამკეტეს, სამხედრო ტანისამოსის ნაცვლად საერო ჩამაცვეს და ღამის ორს საათზედ კვლავ გაგვე- მგზავრეთ.

მეორე ღამე ერთს შესაბრალისს ქო- ხში გავატარე, ჩემი დარაჯი-კი ტყეში შესაფერს ადგილს ეძებდა ჩემ დასა- ხვრეტად. აქამდე არ მესმის, ცოცხა- ლი როგორ დამტოვეს.

ბოლოს მდ. დუნაიის გემზედ ამ- სვეს და მითხრეს აქავე მოგკლავთ, თუ ფიქრადაც არის გაიტარე გაქცევაო, და წამიყვანეს სენში, სადაც 5 საათს შემდეგ მივედით.

აქ მოვიდა ვიღაც აფიცერი, არ იცის რა ჩემი ჩაბარება, რადგან პეტერ- ბურგიდგან მაგის შესახებ მოწერილო- ბა არა მაქვს-რაო. ძლივს სღამო- ზედ ნება დამრთეს საზღვარ-გარედ წავსულიყავი.

# უცხოეთი

**გერმანია.** გაზეთებში უკვე და- ბეჭდილია ამბავი ბისმარკის ბერლი- ნიდგან დაბრუნებისა. თავადი ბისმარ- კი და იმპერატორი ერთს ეტლში ისხდნენ თურმე და სასახლიდგან 7 საათსა და 10 წუთზედ გამოვიდნენ საპატიო ყარაულით. ხალხი აღტა- ცებით ეგებებოდა. მრავალი სახლი გაჩირაღდნებული იყო. მატარებელი რვის ნახევარზედ დაიძრა. იმპერა- ტორმა ბისმარკი ვაგონამდე მიაცი- ლა თურმე, მაგრამ ჩამოართვა ხე- ლი და რამდენჯერმე დაჰკოცნა. როდესაც ბისმარკი ვაგონში შევიდა, იმპერატორმა რამდენიმე სიტყვა უთ- ხრა გრაფ ჰერბერტ ბისმარკს, შემ- დეგ ისევ თავადს ბისმარკს მიუბრუნ- და, რომელიც ქუდ-მოხდილი იდგა ვაგონის ფანჯარასთან. ხალხი იმპე- რატორისა და ბისმარკის დანახვაზედ აღტაცებული იყო და განუწყვეტ- ლივ გაისმოდა „hoch“-ის ძახილი. როდესაც მატარებელი დაიძრა, ბის- მარკი იღიმებოდა და თავს უკრავდა ხალხს. ამასთან ერთადვე წავიდა გრაფი ჰერბერტი, ვილჰელმი და ექი- მი შვენინგერი. ბისმარკის ვაგონი ყვავილებით იყო სავსე. იმპერატო- რი რომ ბრუნდებოდა რკინის გზის სადგურიდგან, ხალხმა „hoch“-ის ძა- ხილით გააცილა.

ბერლინში იმ აზრისანი არიან, რომ ბისმარკის სასახლეში ყოფნის დროს პოლიტიკის შესახებ ლაპარა- კი სულ არა ყოფილა-რაო. თვით ბისმარკის მომხრე გაზეთებიც-კი ამბობენ, რომ შინაგანს პო- ლიტიკაში არავითარი ცვლილე- ბა არ იქნება შემოღებულიო. ბის- მარკის მოწინააღმდეგენი ამბობენ თურმე, თავადი ისე დაუძლურებულა, მაგასთან ეხლა ბრძოლა უაზრობა და უსაგნობააო. დაბეჯითებით გაი- ძახიან, რომ ექიმი შვენინგერი დიდი წინააღმდეგი იყო იმის ბერლინში წასვლისაო.

ბერლინში დიდი ყურადღება მიუ- ქცევიათ აგრეთვე იმ ამბისათვის, რომ თ. ბისმარკის დახვედრის დროს რუ- სეთის საელჩოსაც მონაწილეობა მი- უღია. გრაფს შუვალოვს იმ დროს სტუმრები ჰყავდნენ თურმე, საუზმე- ზედ მიწვეული, მათ შორის პრინცი ალბრეხტი მეუღლითურთ და ცოლ- ქმარნი ჰერცოგნი მეკლენბურგ შვე- რინელნი. ყველანი მოაჯირზედ გა- მოვიდნენ ფანჯარასთან დადგნენ, ქალები ხელსახოცის ქნევით ეგებე- ბოდნენ და კაცები თავის დაკვრით. თავ. ბისმარკმა შენიშნა და სალამი გადაუხადა.

—

**საფრანგეთი.** პაწია სიდონიას, 7 წლისას, რაგიშოლის ქალიშვილს, რომლის შესახებაც ასე ბევრსა ჰლა- პარაკობენ ამ ჟამად საფრანგეთის გა- ზეთები, ქ-ნ კარნოსათვის შემდეგის წერილით მიუმართავს:

„მინდა გთხოვოთ დაეხმაროთ ჩემს უბედურს მამას, რომელსაც კაცის კვლასა სდებენ ბრალად, თუმცა არა- ვინ მოუკლავს. ბევრს ვეცადენით და ბევრსა ვსთხოვეთ დახმარება მე და ჩემმა დედობილმა. ამიტომ გთხოვთ მოეხმაროთ და დამიბრუნოთ ჩემი სა- ბრალო და კეთილი მამა. გულ-მო- დრეკილი გემუდარებით ამას და თუ დედა ხართ, ადვილად წარმოიდგენთ ჩემს ტანჯვას, როდესაც მხოლოდ რკინის მოაჯირს იქიდგან ვხედავ და შეძლება არა მაქვს, რომ გადავეხვიო მაინც. მე მითხრეს, რომ თქვენ დი- დად შემძლებელი ხართ თურმე. ამი- ტომ გთხოვთ შემწეობა აღმომიჩი- ნოთ და პატივება მოუხერხოთ მამა- ჩემს. იმედი მაქვს, რომ თქვენ კე- თილის გულის, არ დაიზარებთ და მიშუამდგომლებთ. არ ვიცი რა მო- ხდა, მაგრამ გული დიდად მეთანაღ- რება, მამაჩემს რომ დაპატიმრებულსა ვხედავ.

ამასსობაში ბოროტ-მომქმედნი თა- ვისას არ იშლიან. პოლიციის საღ- გომში ამას წინად ყუმბარა იპოვნეს, რომელსაც აფეთქება ვერ მოესწრო. ამ საქმის ჩამდენნი ჯერ ვერ აღმო- უჩენიათ.

## ფარმაცევტული ტერმინები ქართულს ენაზედ

(შემდეგი *)

ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამ- ლებისა.

1, აბედი სამკურნალო—Врачебная губка,—Fungus Chirurgorum.
2, აბედი სასაქმებელი,—Лиственничная губка или л. грибъ. Агаракъ.—Fungus Laricis, Bolet. purgans.
3, აგარიცინი, — Агарицинъ, — Agaricinum.
4, ალუმინი გოგირდმჟავა,—Сѣрноалюминiевая соль,—Aluminium Sulfuricum.
5. ამიგდალინი,— Амигдалинъ, — Amygdalinum.
6, ამილენჰიდრატი, — Амиленгидратъ,— Amylenum hydratum.
7, ამილნიტრიტი,—Амилнитритъ,--Amylium nitrosum.
8, ამმონი ბრომიანი.—Бромистый аммонiй,—Ammonium bromatum.
9, ამმონი გოგირდ-იხთიოლიანი, — Сульфоихтiоловоаммiачная соль,—Ammonium Sulfoichthyolicum.
10, ამმონი გუნდრუკმჟავა,—Бензойнокислый аммiакъ,—Ammonium benzoïcum.
11, ამმონი იოდიანი,—Iодистый аммонiй,—Amonium yodatum.
12, ამონი მწვავე განზავებული, ნიშადურის სპირტი **),—Водный растворъ ѣдкаго амміака, Нашатырный спиртъ, Ammonium causticum solutum.
13, ამმონი ნახშირმჟავა, — Углекислый аммiакъ,—Ammonium carbonicum.
14, ამმონი ნახშირმჟავა განზავებული,— Растворъ углеамміачной соли,— Ammonium carbonicum solutum.
15, ამმონი ხლორიანი, ნიშადური,—Хлористый аммонiй, Нашатырь,—Ammonium chloratum.
16, ამმონი ძმარმჟავა განზავებული. სპირტი მინდერერ მკურნალისა,—Растворъ уксусноамміачной соли. Миндереровъ спиртъ,—Ammonium aceticum solutum.
17, ანთიმონი სამგოგირდოვანი, ლახოსტაკი, შავი ანთიმონი,—Трехсѣрнистая сурьма,—Stibium silfuratum nigrum.
18, ანთიმონი ხუთგოგირდოვანი, წითელი ლახოსტაკი, წითელი ანთიმონი,—Пятисѣрнистая сурьма,—Stib. silfurat. aurantiacum.
19, ღვინმარილა, მარწყეველა ღვინის მარილი, ჯულაბი, თეთრი ანთიმონი,— Винносурьмяно-калiевая соль. Рвотный винный камень,—Stibio-kalium tartaricum, Tartarus emeticus.
20. ანტიპირინი, — Антипиринъ, — Antipyrinum.
21, ანტიფებრინი,— Антифебринъ,—Antifebrinum.
22, აპომორფინი წყალბადხლორიანი, აპ. მარილმჟავა,—Солянокислый апоморфиль,—Apomorphinum hydrochloratum.
23, არბუტინი,—Арбутинъ,--Arbutinum.
24, ატროპინი გოგირდმჟავა,—Сѣрнокислый атропинъ,—Atropinum silfuricum.
25, ატროპინი სალიცილომჟავა Салицилокислый атропинъ,—Atropinum salicylicum.
26, აფიონი,—Опiй,—Opium.

ი. ალხაზიშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 15.

*) ვინც დამეხმარება ამ წმინდა საქმეში და გამისწორებს შეცდომებს, უმორჩილესად ვსთხოვ თავის გონივრული შენიშვნები „ივე- რიის“ რედაქციაში გამოგზავნოს.

ავტორი.

**) სადაც ორნაირ ან სამნაირ სახელს შე- ხვდეთ იქ უნდა იგულისხმოთ: ჯერ ქიმიუ- რი სახელია მოყვანილი და მერე-კი მისი სინონიმები, ზოგან კიდე ხალხური სახელიც არის ჩამატებული.

# გასართობი

—

ერთი ტან-დაბალი ვექილი ინგლისის პარლამენტში მიიწვიეს მოწმედ. მეორე ვექ- ილმა, ახოვანის ტანისამ, ჰკითხა:

— რა მოხელე ხართ?

— ვექილი.

— რაო, თქვენა ვექილი! რომ მინდოდეს, ჯიბეში ჩაგისვამთ.

— შეგიძლიანთო, უპასუხა მოწმემ: მაგ- რამ ეს-კი იცოდეთ, რომ მაშინ ჯიბეში უფრო მეტი ცოდნა გექმნებათ კანონებისა, ვიდრე თავში.

**

ერთი ბერი ფულსა ჰკრებდა მონასტრის საგებად. ერთს მდიდარს კაცთან მივიდა მეტად ცუდს დროს, მაშინ, როდესაც ეს მდიდარი გაცოფებული იყო თავის მოსამსა- ხურებზედ და გაცოფებულსავით დარბოდა. მკვახედ უთხრა ბერს უარი და ოთახში შევიდა, მაგრამ ბერი მაინც არ მოეშვა და თან შეჰ- ყვა. ამის გამო უფრო უარესად გაალმასებ- ულმა მდიდარმა ველარ მოითმინა, მოუბრ- უნდა და სილა სტკიცა.

— ეგ ჩემი წილიო, უპასუხა წარბ-შეუხ- რელად ბერმა, მონასტერს რაღაო?

მდიდარი კაცი გონებაზედ მოვიდა და ბერს ასი თუმანი მისცა.

**

ლიუტერმა, უთხრა ერთხელ თავისს ცოლს

---

ნმა დემელინიმ მოახსენა თავისი გა- მოკვლევა სამეცნიერო აკადემიას.

„ყველა ჩემი ნაწამლი ვენახები ოფიციალურად შეამოწმეს ბ-ნმა კუანონმა მეურნეობის ინსპექტორმა და ბ-ნმა დელამოლერმა ლიონის სამეურნეო საზოგადოების ინსპექტო- რმა, რის გამოც ბატონმა მეურნეო- ბის მინისტრმა კეთილ ინება და- საინტერესოდ ჩასთვალა ჩემი წამ ლობა და მირჩია განმეგრძო კიდევ. ამასთან ბ-ნი დოქტორი კროლასი ლიონის ფაკულტეტისა დაინიშნა ჩემთან წამლობის დამხმარეთ. მრა- ვალთაგან დიდის ქებისა და დიდე- ბის წერილი მივიღე წამლობისათვის. მაგრამ მაგარი ის არის, თუ როგორ გამოდგება ჩემი წამალი შამპანიაში. იქ ვაზი სულ სხვაფრივ იზრდება. სხვა ადგილებში რომ ვაზის ძირები იწონის 475 გრამს, შამპანიაში 13 გრამზედ უმძიმესი არ არის, ამის გამო ძრიელ მეშინოდა, რომ ჩემს ზომა წამალს არ გაეხმო ვაზე- ბი. ეხლა-ხან ეპერნეიში სწამ- ლობენ ძრიელ საფუძვლიანად. მო- მავალში შეიტყობთ, თუ რა შედე- გი მოჰყვება. რაც-კი შეეხება იმ ნა- წამლ ვაზებს, სადაც ვსცადე ჩემი წა- მალი, იმედი მაქვს, რომ შიში არა- რის-რა ვაზი ყველგან გაუძლებს ამ წამლობას. წელს და შარშანაც ორ- გან ვუწამლე 220 გრამ შერეულ წამლით, ე. ი. 22 ფიქალო ვიხმარე. ამ ვაზს, რომელიც წარმომიდგენია აკადემიის წინაშე, სრულებითაც არ ეტყობა წამლობის წყენა, თითქო ნამყენი ვაზიაო, ისეა ნახარები. ვსწუხვარ, რომ მტევნების რაოდენო- ბის ცნობა არა მაქვს, რადგანაც ჩემს ნაწამლს ზვარს საშინელი გრიგალი დაატყდა 24 აგვისტოს მოწევის დრო- სა და სულ დააყრევინა, რაც-კი მტე- ვნები ჰქონდა ვაზებს; სხმით-კი კარ- გა ესხა.

მე რომ წამლის ზომას ვიღებ, იმას ვეძახი ზომიერს, მაგრამ მაინც მსურ- და გამეგო, თუ რა ღონით შეხვდე- ბოდა ვაზი მეტ-ნაკლების წამლების არევას და ნამეტურ ფიქალოსას, ამი- სათვის სხვა-და-სხვა ვაზს სხვა ზომა მივეცი: 2 კილო, 1758, 1500, 1250, 1000 გრამი, ასე რომ წმინდა ფიქა- ლო ტორფის გარეშე შეხვდებოდა 200, 175, 150, 125, 100 გრამი. ეს ვაზი აკადემიის წინაშე ნიმუშად მოტანილი 200 გრამ ფიქალოთია ნა- წამლი.

ვაზმა მშვენივრად იხარა; მის ჩვი- დმეტ რქას თვრამეტი მტევანი ება. ამ შემთხვევაში თითქოს განგებას სურდა ჩემი წამლობა გამოეჩინა; ამ ვაზის ძირებ შუა ვიპოვე ერთი ტორ- ფის ნაჭერი ფიქალოთი გაჟღენთილი, ფესოები გარს შემოცმოდნენ.

შესახებ ფილოქსერისა ამას ვამ- ტკიცებ, რომ ჩემს ნაწამლ ვაზზედ ფილოქსერის გროვას შე[illegible]ვდებით მხო- ლოდ მთავარ ძირების ბოლოებში და მიწიდგან წვერისკენ ამავალთ, მაშინ როდესაც თვით ფესოებზედ მათს ნასახსაც ვერსად იპოვით.

ერთს დაუძლურებულს ვაზს სხვა ზომა წამალი მივეცი ივანობისთვე- ში ბ-ნ დედამოლურის რჩევით და ამაზედ იპოვის კაცი კიდევ ფილო- ქსერას, მაგრამ ვაზი მაინც არ გა- ყვითლებულა.

იმ ზვარის ნაჭერში, სადაც ორ- გან ვუწამლე და ვაზებმა მშვენივ- რად იხარეს, კიდევ შეხვდება კაცი აქა-იქ ნაკბენს ფესოებზედ, ნემსის წვერის ოდენას, უთუოდ ფილოქსე- რის ნაკბენი უნდა იყოს, მაგრამ თვით ფილოქსერა ვერსად ვერ მი- პოვია. თვითონ ფესოები თავის მო- თეთრო [illegible]ით უვნებლად არიან და არა-რა [illegible]ლურება მათ არ ეტ- ყობათ.

ბლომად ნაწამლი ვაზები ყველა კარგად ხარობს და არარა ნაკბენი ფილოქსერისა არ ეტყობათ და ვერც ფილოქსერა ვიპოვე. ამასთან ისიც ნუ დაგვავიწყდება, თუ რა განსაცვიფ- რებელი გოლვა იყო წელსა, ფილო- ქსერას კარგი დარი უდგა, მშვენივ- რად შეეძლო ემრავლა, მაშინ რო- დესაც თვით ვაზი სწუხდა გოლვი- საგან. ის ჭრილობები, რომელსაც წელს ვაზებზედ შევხვდი სრულებით არ გამოაჩნდებოდა, რომ ვაზს ნამი არა ჰკლებოდა და რომ წლევანდე- ლი წელი ზომიერი და მეურნეობი- სათვის სავარგი წელიწადი ყოფილი- ყო.

დასასრულ ასეთი აზრი დავასკვე- ნი შესახებ ჩემის წამლობისა: წრე- ვანდელს წელზედ უფრო ხელ შემ- შლელ წელიწადს კაცი ვერ შეხვდე- ბა; ამერიკული ვაზებიც დახმა ფი- ლოქსერისაგან, მაგრამ ჩემს ნაწამლს ვაზებს, არამც თუ დაზიანება შეე- ტყო წინაალმდეგ ამისა, წელ-გამა- გრებულები იყვნენ, გაღონიერდნენ და ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვენდოთ ჩემს ნაცადს წამალს.

პ. წულუკიძე

ეკატერინეს, რომელიც ფეხ-მძიმედ იყო და ამავე დროს ძუძუ-მწოვარი ყმაწვილი ხელში ეჭირა:

— რასაკვირველია, ადვილი არ არის ორის სტუმრის გამოკვება, როდესაც ერთი სახლში, და მეორე ჭისკარს იქიდგანა დგასო.

## გამოსადეგი ცნობა

—

თევზის შენახვა ჩინურად. ჩინელები სრულიად უბრალო საშვალებით ინახვენ ცოცხლად თევზს. ცოცხალ თევზს უნდა შემოახვიოთ სქლად სველი მსუქანი თიხა და ასე შეინახოთ საყინულეში, სადაც თევზი შეინახება რამდენსამე თვეს გაყინულ-გათოშილი შემდეგ, როცა-კი დაგჭირდებათ ამოიღებთ თევზს ჩააგდებთ წყალში და თევზი ნელ-ნელა მოცოცხლდება.

# დეპეშა

20 იანვარი

**ჰამბურგი.** ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი მოლტკე წავიდა დღეს ფრიდრიხს რუეს და წაუღო თავადს ბისმარკს იმპერატორისაგან დაპირებული ყომრალი სამხედრო შინელი.

**ლონდონი.** გლადსტონი დეპეშით იწერება ბირიციდამ, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ სამსახურიდამ გადადგომას ვაპირებდეო.

**რომი.** ანარხისტს ადვოკატ მოლინარის, რომელსაც ჰბრალდება, რომ დამნაშავეთა ამხანაგობაში მონაწილე ხარ და საერთა-შორისო ომისა და ბრძოლისათვის აგულიანებ ხალხსაო, გადაუწყვიტეს დაპატიმრება 23 წლის ვადით. ამ ხანში სამს წელიწადს მარტოდ-მარტო უნდა იყოს დაპატიმრებული ციხეში.

პეტერბურგის ბირჟა, 18 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,40 | 7,44 | ,, |
| გამოყენის კუპონები | 148 | 148½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | | 241 |
| მეორისა | | — ,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა. | — ,, | — ,, | — ,, |
| სათავადაზნაურო [illegible] ბანკის მომგ. ფურცელი | 189 | — ,, | ,, |
| [illegible] ფურცელი [illegible] ბანკისა 6 | 100¾ | — ,, | — ,, |
| 5 | 98¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 93¼ | , | — ,, |

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. სალ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. სალ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. სალ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. სალ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: სალ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

# განცხადებანი





ამხანაგობა „ჯანმრთელობისა“

სუნელოვანი ხიმიკური-წმინდა

**ბრინჯის უმარილი (პუდრა).**

ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.

ნარდად შეიძლება ყიდვა:

ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიაში.

**ს.-პეტერბურგი.** ალექსანდრეს თეატრის მოედანზედ, 9.

**მოსკოვი,** ნიკოლსკის ქუჩა, სახლი შერემეტევისა.

**ვარშავა,** „ნოვი სვეტში“, 37.

ქ. ქუთაისში ახალი წიგნის მაღაზია გ. ბეჟანიშვილისა. ალექსანდრეს ქუჩაზე, ქალაქის ბაღთან, ანდრონიკოვის სახლებში გავმართე ახალი წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული

**წიგნები**

და აგრეთვე საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები. (5—4)

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—150)


**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ო. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |


## ნუ იყიდით ველოსიპედებს

მანამ ჩვენი კატალოგი 1894 წ. არ წაიკითხოთ. ჩვენი კატალოგი გამოაშკარავებს **სენსაციურ ახალ ამბავს** ამ წლის სეზონისთვის.

კატალოგი გაეგზავნებათ უფასოდ.

Торговый домъ **Ж. Блокъ**, **Москва**. С.-Петербургъ, Одесса, Варшава, Кокандъ, Ростовъ н/д, Екатеринбургъ. (5—1)

## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

გლიცერინის საპონისა სახეებით,

გლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

БиКо БиКо БРОКАРЪ и Ко ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.

**ბროკარი და კº.** (8—4)


## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Января 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე